2022 წელს განხორციელებული სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ანგარიში

მოგახსენებთ, რომ დაწესებულებაში არსებული რეგულაციების თანახმად 2 წელიწადში ერთხელ ხორციელდება 2018-2025 წლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. 2022 წელს განხორციელდა აღნიშნული პროცესი. მიმდინარე დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების დინამიკას თბილისსა და თელავის განყოფილებაში, ბოლო ორი წლის მანძილზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ცვლილება განხორციელდა დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში, რომლიც განაპირობა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ინიციატივით განხორციელებულმა ტრენინგებმა ავტორიზაციის I სტანდარტთან მიმართებაში. შეხვედრას ხელმძღვანელობდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი, რომლისგანაც ინდივიდუალურ რეჟიმში მოხდა კონსულტაციების მიღება ჩვენი კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებში (მისია, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა) განსახორციელებელი ცვლილების შესახებ. აღნიშნულის შედეგად სამუშაო შეხვედრა გაიმართა კოლეჯის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა დაწესებულების მისიაში, სტრატეგიულ გეგმაში და სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები (იხ. შეხვედრის ოქმები).

რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგად მიღებულ სურათს შემდეგნაირად გამოიყურება:

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

დაწესებულებამ ავტორიზაციის გზით, ქ. თელავში განახორციელა ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, კვოტის გაზრდა საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სასწავლო პროცესის განვითარება, მეთოდების დახვეწა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა/პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარება.

აღნიშნული ამოცანები ყოველთვის აქტუალური იყო ჩვენ დაწესებულებაში, თუმცა ბოლო პერიოდში, რაც პანდემიისგან მიღებულ შედეგებს მოჰყვა, სასწავლო პროცესისთვის კიდევ უფრო აუცილებელი გახდა სტუდენტებისთვის სწავლების პერიოდში, სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების დანერგვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულები. ამაზე ცხადყოფს დაწესებულების ინიციატივით ჩატარებული ტრენინგები, თბილისსა და თელავის განყოფილების მასწავლებლებისთვის, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უნარების სააგენტოს ინიციატივით განხორციელებული ტრენინგები სასწავლო პროცესის განვითარების კუთხით (მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით). აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის და თელავის განყოფილების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის მოეწო კონფერენცია თემაზე: : ,,პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლება და შეფასება”(2022წ).

მომზადება/გადამზადების პროგრამების დამატება განვითარება.

დაწესებულებამ თბილისსა და თელავის განყოფილებაში დაიმატა 4 მომზადება/გადამზადების პროგრამა: გერიატრიული ასისტენტი(თბილისი, თელავი), სსსმ ბავშვებთან მუშაობა(თბილისი, თელავი), კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა(თბილისი), სალაროს ოპერაციების განხორციელება (თბილისი, თელავი)

ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების სტანდარტიზაცია.

ცვლილებები, რომლებიც დაწესებულების ყოველდღიურ რეჟიმში ხდება, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პერიოდულად შემოთავაზებული ახალი რეგულაციები იძლევა იმის აუცილებლობას, რომ დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში განვახორციელოთ ცვლილებები (მაგალიტად ცვლილებები შევიდა დაწესებულების მისიაში, სტრატეგიულ და სამოქმედო

გეგმებში, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, სასწავლო პროცესის მართვის წესში (იხ დირექტორის ბრძანება)). გარდა ამისა 2023 წლისათვის დაწესებულება გეგმავს რეავტორიზაციის მიზნით განაცხადის შეტანას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში და დროზე ადრე იქნა დაწყებული აღნიშნული მარეგულირებლების სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით გადამოწმება და მათში ცვლილებების შეტანა.

ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციის ამაღლება დაწესებულების მართვით პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად იღებს მონაწილეობას როგორც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ყველა ტრენინგში, ასევე კერძო კოლეჯების ასოციაციის და არასახელმწიფო, კერძო ორგანიზაციების მიერ გამართულ ტრენინგებში (იხ ტრენინგის ამსახველი- მეილები და ხელშეკრულებები).

დაწესებულების ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება / ტექნიკური აღჭურვილობის განახლება / ტექნიკური აღჭურვილობის განახლება / სასწავლო რესურსების სისტემური განახლება / დაწესებულების საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება.

2021-2022 წლისათვის დაწესებულების მიერ აღნიშნული აქტივობები სრულად იქნა განხორციელებული, ამ პერიოდისათვის კოლეჯის ფანასკერტელის თელავის განყოფილებაში მიდინარეობდა ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება. თელავის განყოფილებაში რეაბილიტაცია გაუკეთდა შენობის მარჯვენა ფლიგელს, ახალი კომპიუტერებით აღიჭურვა სასწავლო აუდიტორია. თბილისსა და თელავის განყოფილება მომარაგდა ახალი სასწავლო რესურსით, ახალი ტექნიკით(როუტერები, ტელევიზორები და ა. შ). (იხ. ფინანსური ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი 2021-2022).

სამუშაო პირობების ანალიზი და შეფასება.

ამ მიმართულებით დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, შემუშავდა კითხვარები, რომელიც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს მიერ და დამტკიცებული კითხვარები google forms აპლიკაციის საშუალებით გადაეგზავნათ კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციულ პერსონალს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ანგარიში გამოიკვეთა პერსონალის საჭიროებები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

სტუდენტური აქტივობების ორგანიზება / პროფ სტუდენტთა და კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარება / კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება .

2021-2022 წელი აქტიური იყო სტუდენტებისთვის: კოლეჯში გაიმართა საახალწლო ღონისძიებები, მოეწყო ექსკურსიები (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სტუდენტებისთვის მოეწყო საჯარო ლექცია. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები, გაცნობითი პრაქტიკის მოდულის მიმდინარეობის ფარგლებში, იმყოფებოდნენ ტექნოპარკში. შიდა ქართლში(ქარელის რაიონში) მოინახულეს ეკლესია მონასტრები, კოლჯის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია -„ჩემი აღმოჩენა პროფესიულ განათლებაში“, კერძო კოლეჯების ასოციაციის ხელმძღვანელობით, პროფესიული განათლების მასწავლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მოეწყო III ეროვნული კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები(გადაეცათ სერთიფიკატები). პროფესიული სტუდენტები ასევე ჩართული იყვნენ დასაქმების ფორუმებში. კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან პროფესიული სტუდენტებისთვის ეწყობა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებების; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების და სტუდენტებისთვის საინტერესო სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების შემდგომი განვითარების მიზნით

მე-7 წელია კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს გერმანულ კომპანია - Medicjobline“-თან, რომელიც გერმანიაში წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციას. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნების გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარების მომენტში, თუ გამოვლინდა შესაბამისი საგნების ან საათების ნაკლებობა, მის ანაზღაურებას ჩვენი

კოლეჯი ადგილზე უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის განხორციელებით. ამის დამადასტურებლად კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში. აღნიშნული სწავლება ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში, კონტრაქტში მითითებული ვადით.

რეკომენდაცია: სტრატეგიული გეგმის მე-4 მიზნის - „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება“ , თემა 4.5 – „დაწესებულების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების შემდგომი განვითარების მიზნით“, სასურველია დაწესებულებამ მოიძიოს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც, თავისი გამოცდილების გაზიარებით და მხარდაჭრით უზრუნველყოფენ კოლეჯის სტუდენტების ჩართულობას არა მარტო საექთნო განათლების მიმართულებით, არამედ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებითაც, რომელსაც კოლეჯი ახორციელებს(აღმზრდელი, ინფორმაციის ტექნოლოგი, საფინანსო სერვისები, ფარმაცია).

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის
ხარისხის მართვის მენეჯერი
/შ. დემურაშვილი/